საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 2 20 00079753

27/01/2020

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ Nataly Academy-სათვის არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მინიჭების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2020 წლის 20 იანვრის №50155 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის №459 დადგენილებით დამტკიცებული „არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-10 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ Nataly Academy-ის არაფორმალური განათლების აღიარების უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების ფარგლებში და ვადით.
2. დაევალოს ცენტრის სტრატეგიული კომუნიკაციისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახურის სტრატეგიული კომუნიკაციის სამმართველოს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.

3. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის, მათ შორის, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

თ. მახარაშვილი